დანართი 2

მაგისტრატურაში ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტები:

1. განცხადება (განცხადების ფორმა - დანართი 2)
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის ან ID ბარათის) ასლი; (უცხო ქვეყნის მოქალაქე-პასპორტის/პირადობის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის დედანი);
3. ფოტოსურათი 2 ცალი ზომით 3x4სმ და CD დისკი;
4. სამხედრო ბილეთი და მისი ასლი, ან მიწერის მოწმობა და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
5. მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შეფასებები (ამონაბეჭდი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდიდან - www.naec.ge);
6. ბაკალავრის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში ცნობა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ);
7. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განთლების შემთხვევაში, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული დედანი და განათლების აღიარების დოკუმენტი.
8. სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უცხო ენის (B2 დონის) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
9. სტუ-ის სამაგისტრო გამოცდებში განაცხადის შეტანისას განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სტუ-ის ანგარიშზე (სახაზინო კოდი 708977259) დადგენილი საფასურის (15 ლარი) გადახდის ქვითარი ბანკიდან.

სტუ-ის სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მიღებული აქვს აღნიშნული ტესტების მინიმალური გამსვლელი ქულები:

- წაკითხულის გააზრება - 6,4 ქულა;
- ანალიტიკური წერა - 6,0 ქულა;
- ლოგიკური მსჯელობა - 5,2 ქულა;
- რაოდენობრივი მსჯელობა - 4,8ქულა.

➢ აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა შესაბამის საგანში და ასევე ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე გამოცდა ან გასაუბრება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ უცხოურ ენაში (იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტმა ვერ წარმოადგინა უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტი)

- საგამოცდო ფურცელს (ინფორმაციას გამოცდის თარიღის და ადგილის შესახებ) აპლიკანტები მიიღებენ ფაკულტეტებიდან განაცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე
- სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად მაგისტრანტობის კანდიდატმა სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 32 ქულა (შესაძლო მაქსიმალური 100 ქულიდან).